GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 293
თარიღი: 15 06 2017 წ.

GRASS
FACTCHECK

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- 2013 წლიდან დღემდე საცხოვრებელი ფართი რამდენ დევნილ ოჯახს გადაეცა ;
- 2013 წლიდან დღემდე რამდენ დევნილ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი;
- „სოფლად სახლის" ფარგლებში სულ რამდენი სახლი იქნა შესყიდული და როდიდან დაიწყო ამ პროგრამის მოქმედება;
- 2013 წლიდან დღემდე სულ რამდენი დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით;
- დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართით სულ რამდენი დევნილი ოჯახია დაკმაყოფილებული;
- 2017 წელს რამდენი დევნილი ოჯახისთვის იგეგმება საცხოვრებელი ფართის გადაცემა(ახალი და რეაბილიტირებული ბინები);
- როგორი მდგომარეობაა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და რა ღონისძიებები იგეგმება ამ მიმართულებით;
- ასეთი ობიექტების სარეაბილიტაციოდ 2013-2016 წლებში რა რაოდენობით თანხა დაიხარჯა;
- მიმდინარე წელს ასეთი ობიექტების სარეაბილიტაციოდ თუ არის თანხა გათვალისწინებული;
- ბიუჯეტში დევნილთა საცხოვრისის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის 2015-2017 წლებში გამოყოფილი თანხა(თითოეული წელი ცალ-ცალკე)

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) დირექტორი

მისამართი:

თბილისი, მიჩკევიჩის ქუჩა # 27 ბინა #1

საკონტაქტო პირი:

ვერიკო სუხიაშვილი 599786561

Nanovero71@gmail.com

GRASS 406077579 NNLE Georgia's Reforms Associates